



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1824
26/10/2018

ქალაქი ბათუმი

1824-05-4-201810261135



სულხან ვერძაძეზე - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ხელვაჩაურის გამწვანების, დასუფთავებისა და კომუნალური მომსახურების სამსახურის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელზე მიმდინარე წლის ანაზღაურებადი შვებულებიდან 15 სამუშაო დღის მიცემისა და თენგიზ ქავთარაძეზე დირექტორის მოვალეობის შესრულების დაკისრების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, „ე“ პუნქტის, „ე.ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს ორგანული კანონი - საქართველოს შრომის კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 2015 წლის 23 აპრილის №65 ბრძანებით დამტკიცებული ა(ა)იპ ხელვაჩაურის გამწვანების, დასუფთავებისა და კომუნალური მომსახურების სამსახურის წესდების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი სულხან ვერძაძის 2018 წლის 24 ოქტომბრის №14451/05 განცხადების საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. სულხან ვერძაძეს - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ხელვაჩაურის გამწვანების, დასუფთავებისა და კომუნალური მომსახურების სამსახურის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს მიეცეს მიმდინარე წლის ანაზღაურებადი შვებულებიდან 15 სამუშაო დღე, 2018 წლის 29 ოქტომბრიდან 16 ნოემბრის ჩათვლით.

2. თენგიზ ქავთარაძეს - ა(ა)იპ ხელვაჩაურის გამწვანების, დასუფთავებისა და კომუნალური მომსახურების სამსახურის დირექტორის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელს, დაეკისროს ა(ა)იპ ხელვაჩაურის გამწვანების, დასუფთავებისა და კომუნალური მომსახურების სამსახურის დირექტორის მოვალეობის შესრულება, ამავე თანამდებობაზე მომუშავე სულხან ვერძაძის ანაზღაურებად შვებულებაში ყოფნის პერიოდით, 2018 წლის 29 ოქტომბრიდან 16 ნოემბრის ჩათვლით.

3. ბრძანების გაცნობა დაინტერესებულ პირზე დაევალოს მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა